ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24

(მომსახურების შესყიდვა)

ქ. ახალციხე 05 მარტი 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ **სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი** მისი **დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ლელა" ს/ნ 224071750 წარმოდგენილი მისი დირექტორის დალი ქოზაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის ვ პუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯი) მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - სასტუმროში დაბინავების მომსახურება
დაფინანსების წყარო - **საკუთარი შემოსავლები**
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია, (CPV) კოდი – 55110000, სასტუმროში დაბინავების მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200-00 ლარი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 05 მარტიდან 05 აპრილის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების დადების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღებ-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის განმავლობაში

8. ფორს-მაჟორი

ხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)	
პროფესიული სახელმწიფო	შპს „ლელა“
დრამატული თეატრი	
ქ. ახალციხე თამარ მეფის ქ. №6	ქ. ახალციხე , ფარნავაზ მეფის 20
სახელმწიფო ხაზინა	ლიბერთი ბანკი
სახაზინო კოდი №TRESGE22	ბანკის კოდი **LBRTGE22**
ს/კ 224072928	პ/ნ 224071750
a/n 708277015	ანგარიში № GE18LB0113152011425000
დირექტორი: დ. ათუნაშვილი	დ. ქოზაშვილი